

დეკემბერი 26 1916 წ.


ფასი 12 ქაშ.

რედაქციის აღმანები: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

# გერმანიული მატერიალი

№ 26

იუმორისტი.  
უურნალი



## სარედაქციო კოლეგია

არსალ, არც ერთ რედაქციაში ისე მწყობრიათ და უჩხუბრიათ არ წყდება საჭარბოროტო კითხვები, როგორც ეურ. „კირკიმალის“ რედაქციაში. აი ამ სურათზე გამოხატულია მთელი სარედაქციო კოლეგია:

მარცხნივ. ბ-ნი თვალი.

- ვალი.
- ალი.
- ლი.

მარჯვნივ. ბ-ნი ილავთ.

- ილავ.
- ილა.

## თბილისი 26 ოქტომბერი.

და პირველ მოწინავე წერილს ვუძღვით დიდებული მგასნის აკადიმიური სახელის, რომელსაც ი. იმედაშვილის სიტყვით, ძლიერ უყვარდა ამგვარი მოწინავები).

გინახავთ თუ არა, დახუთული ცხენი? დიახ, ცხენი! ფეხებს რომ ატყაპუნებს და ნაბიჯი კი ვერ გადაუდგავს. ანუ გუცე, რომელიც ერთ ალგილას ელაყუნება და ორფერი მოძრაობა აქვს, —ჩააგდებ კენჭს წინწლები ალელდებიან, ქვა ძირს ჭიება, წყალი ზევით დარჩება.

ამ სწორეთ ასეთ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი მელპომენია. ის დახუთულ ცხენივითა სდგას და ჩააგდებ თუ არა შიგ კენჭს წინწლები ალელდებიან, ისევ დაწყნარდება, ფეხი ვერსად გადაუდგავს.

დარგა — ცდომაა უკვე ზაფხული ზაფხულობს და მელპომენია სლუმს, შისი ქურუმი დახუთულ გუცებავით ერთ ალაგას ფეხებს ატყაპუნებენ, ერთნაირდ უმოძრაონ, უგულებრილონი.

მართლია ჩვენს მელპომენას საკუთარი ტაძრი. არა აქვს, ნავთესყუდას მოკლებულია, არა აქვს შინაგანი და გარეგანი სიცხოველე, მაჯის ძლიერი ცემა, ცხაცელი ნაფიქრევი და ნააზრევი, მაგრამ საკირო სიფრთხილე, უგერგილობა.

უკვე ზაფხული დგას. დარგა — ცდომა! რას შევჭიიან ჩვენი მელპომენის მსახური და ქურუმთ მთავარნი? ნუ თუ ისინი კვლავინდებურად გამოიჩინენ სამოქმედო გნერების და ნაბიჯს გადადგავნ, თუ განაგრძობენ რაც გუშინ იყო ხეალიც იგივეს.

დარგა — ცდომაა, ბატონებო.

## ინდოურის პრალია!

მნე და ქარმავი, იხალვაზრდული სიხალისით ვჯდა ალექსანდრ ივანიჩი თავის მაგიდას ქალაქის სამართველოს ქაბინეტში. მრავალი წლის დაუღალებ მოღვაწეობის წარსულში, და 11 საათისას ამ უკანასკნელ დღეს, ოდნავაც არ მოქანდა მისი მოძრავი ხასახულობა. უკართოდა სახეზე და იმდერთულობით უასკეროდა მომავალს.

— რაუ, რაუ, რაუ! გისმა კარებთან მორიცებული რაკუნი.

— შემობრძანდით!

კარები მოკრძალებით გაიღო. კაბინეტში ოთხი სტუდენტი შემოვიდა. გარევნობით ეტყობოდა, ოთხი ეროვნების წარმომადგენელნი იყვენ.

— რითი შემიძლია გემსახურო თო?

— ჩვენი ინსტიტუტი უმორჩილესადა გთხოვთ, ხეალ ლექცია წაიკითხოთ ჰიგიენაზე.

— ეგ რომელი ინსტიტუტია?

— სამთავ-საინჟინერო ჩუღურეთისა.

— აპაა! ძალიან კარგი, მაგრამ ხეალ მხოლოდ ერთი საათი მაქს თავისუფალი: ათიდან თერთმეტამდე. დილით ვკათხულობ ნავთლულის პოლიტექნიკუმში, შემდეგ საექიმო აკადემიაში წენეთის ქუჩაზე. თერთმეტიდან თორმეტამდე დილუბის სამეცნიერო ინსტიტუტს შევპირდი; თორმეტიდან სამ საათამდე...

— წკრრრ... წკრრრ... წკრრ... დაწკრიალა ტელეფონმა და ალ. იგანიჩია ლაპარაკი შესწყვიტა.

— დიახ, ქალაქის მოურავი გელაპარაკებათ... აპა... სთხოვეთ ჩემ მაგიერ დაწყნარდენ... მე თაობაში ვთქვი, რომ ნაძალადევში უნივერსიტეტი მოუსვენარი იქნება მეთქი... პოლიცია... ოო... არა, არა! ძალიან კარგი... ეხლავ გაახლებთ კომისიას... მშვიდობით.

— ამგარათ მე შემიძლია თქვენს ინსტიტუტს ხეალ მხოლოდ ერთი საათი შევსწირო, ალერსიანი კილოთი მიუბრუნდა მოურავი სტუდენტებს.

— გმაღლობთ.

სტუდენტები გავიჲენ.

კაბინეოში შემოდის მდივანი მოურავისა დარჩება პანჩი, პორთფელით და იქვე სავარძელები ეშვება.

— გუშინდელი დღე რაღაც უწევულო დღე გამოერია, — დინჯათ დაიწყო მდივანმა.

— რა მოხდა ასეთი? ჩვენი ცხოვრება ისეთს სასულველ კალაპოტშია ჩავარდნილი, რომ მოლოდინი რამებ ხიფათისა განდევნილია.

— წუხელ კოჯორიდან მომვალი მატარებელი ოქროყანის ზემოთ დაეგაბა ბბოსა და გასრისა.

— როგორი ვინ ვაუშო ეგრე უპატრონოთ ხბო? საჭიროა პატრონს გაუცეზნილებობისათვის ჯარიძა გადახდეს და სამართლიანობისათვის ზარსლიც ეზღოს. უბედურობის აღილს დეზინტენცია გაუკეთდეს, რომ რამებ მავნე ბაცილამ ფეხი არ მოიკიდოს.

— ეგ ყველაფერი უკვე ასრულებულია. სპე-

კუილისტების აზრით ორთქლმავალის კვამლი ძლიერ წეს მთაწმინდის პარკში ძვირფას ხეებს და მოითოვენ მატარებელთა მოძრაობა ელექტრონის ძალით სწარმოებდეს.

— მოვასხენებ ქალაქის საბჭოს.

— აი ეს ქალალდი კონსერვატორის დირექტორისა გახლავთ. გთხოვთ ხვალ დაესწროთ წლიურ ქრისტუს, სადაც კურს დამთავრებულო დაფნის გვირ კვინებით დაჯილდოებენ.

— ხვალ დრო არა მაქვს!

— როგორმე უნდა მოახერხოთ. ავლაბრის ასულიერო აკადემიის რეგტორს მე თითონ ვუთარი თქვენს მაგიერ უარი.

— კარგი გიქნია.

— ეს იმიტომ ვქვენი, რომ თქვენ აუცილებულით უნდა დაესწროთ დიღუბის ტბაზე ნავებით ეჯიბრებას. საღამოსთვის არის დანიშნული. ეს ბა მართლაც მშვენებაა ჩვენი ქალაქისა. მართავია, ქალაქს მისი მოწყობა თითქმის ორი მილიონ დაუჯდა, მაგრამ სარგებლობა მაღლ ანაზღაურებს დანახარჯს.

— სასიამოენოა. ფიზიკურ ჯანმრთელობას უდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა კეთილდღე-სისათვის. ვეცდები დავესწრა.

— წუხელ ზოოლოგიურ ბაღში კინალამ მართ მომხდარა. ვიღაც სოფლელ ბავშვს სპილოსის ერთი კოლოფი ბურნუთი მიუცია. სპილო კოფებულა და დიდი არევ-დარევის შემდეგ დაყნარებით.

— ას ეს სოფელი, სოფელი!

— უნდა ვეცადოთ როგორმე სოფელშია ათლება შევიდეს. ქართლში ექვსი სოფელი აჩნდა, საღაც არა თუ ინსტიტუტი, უბრალო აზიაცი არა ყოფილა.

— გუშინ გადაწყვდა ქ. გორამდე მეზოთე ლიაგის გაყვანა. გზა პირველი ფაქტორია, სისუფას შემდეგ, ხალხის ჯანმრთელობისათვის.

— ქუჩების მრეცხავი მუშები ხელფასის მოქას მოითხოვენ. დღე და ღამეში ერთხელ სა-და ჩოთქებით რეცხენ თითქმის ყველა ქუ-მეორეჯერ მარტო წყლით.

— ჰო მართლა, არ დამავიწყდეს: წყლის გა-ლევამ რა აღმოაჩინა?

— აბსოლიუტურათ წმინდა წყალი ვერ მოვიყვანეთ. ეს მაშინაც არ იყო, როცა მცხოვრებნი წყალში ფულს იხდიდენ. გამოკვლევამ აღმოაჩინა, ვედრო წყალში ერთი მეათედი ნამცეცი რაღაც უცნობი ბაქტერიისა.

— სოხოვეთ ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის გამგეს, გამოკვლიოს ამ ბაქტერიის ხასიათი.

— ორთაჭალის მებალეთა სინდიკატი დაუინუბით მოითხოვს გემთა მიმოსვლა დიღუბესა და ავ-ჭალისთან უფრო რეგულიარულათ მოეწყოს. ეს საკითხი მჭიდროთ დაკავშირებულია სანოვაგის მოწესრიგების საკითხთან და სიჩქარეს ითხოვს.

— დღესვე დანიშნე სანაოსნო, ფინანსიური, იურიდიული და ტენიცური კომისიების შეერთებული სხდომა. კაპიტანთაც დაუძახეთ.

— „ლრმა ღელის“ ქეჩა ერთად ერთი დარჩა, რომელსაც ტრამვაი არ ჩაუდის. მცხოვრებნი დიდ გასაჭირო განიცდიან. დეპუტაცია გახლდათ. მოითხოვენ გაყვანილ იქნას შტო.

— ასეთი უბრალო საკითხი, პირდაპირ კომისიას გადაეცი. დაუკვეთონ კრწანისის ქირხებს რელიგიი, ვაკონები და გაიყვანონ გზა.

— ფასი ბილეთისა?

— ფასი ჩვეულებრივი, ერთი კაპიკი. მე შახსოვს, როცა მიხაილოვის ქუჩის კუთხიდან პიროვნობების ქუჩით მველ სადგურამდე ბილეთი შაური ღირდა.

— ნუ თუ ეს მართალია?

უარესი დროცე მახსოვს. სანოვაგის სიძვირე უკიდურეს წერტილმდე იყო მისული. ჰო, მართლა, რა ნიხრია დაწესებული მომავალი კვირისათვის?

— მცირედი ცვლილებით: 1) პური პირველი ხარისხისა 2 გირ. 3 კაპიკი. 2) ხორცი იყა. 8 კაპიკი. 3) შაქარი 2 გირ. 11 კაპ. 4) ყველი იყა 10 კაპ. 5) ერბო იყა 40 კაპ. 6) ნავთი (ხმარობენ მხოლოდ სამზარეულოსათვის) გირ. 1 კაპ. 7) თევზი (ზუხი და კალმახი) იყა 17 კაპ. 8) ქათა-მი 13 – 25 კაპ. 9) გოჭი 75 კაპ. 10) ინდაური 57 კაპ. გასულ კვირაში, როგორც გემასხოვებათ 54 კაპ. ღირდა.

— როგორ? ეგ ხომ სპეცულიაცია! რას, იტყვის ამაზე ისაი მარკოვიჩი? ეს შეუძლებელია! სამი კაპიკის ერთბაშათ მომატება. ეხლავ წაილებ-ნ შაშკოვსკისთან ეს წერტილი...

ალექსანდრ ივანიჩმა მძღოვრად გამოსჭია სა-  
წერი მაგილის უჯრა და ოვალებში მზის სინათლე  
მოხვდა.

— უჲ, მეცხრე საათია! უკმაყოფილოთ ჩაი-  
ლაპარაკა მან და სწრაფათ წამოდგა.

ვანნასა და პირისაბანში წყალი არ აღმოჩნდა.  
მზარეულს პური ვერ ეშოვნა და მოურავი იძულე-  
ბული გახდა სამსახურში პირდაუბანელი და უჩიაო  
წასულიყო. გზაში მან მოიგონა დილის მშეენიერი  
სიზმარი და მწუხარეთ ჩაილაპარაკა.

— იმ ოხერმა ინდოურმა დამღუპა, ინდო-  
ურმა!

### ეშმაკი.



## მესტვირული

(სოხუმისათვის და გრეთვე ადგილთა უფელთათვის).

ისევ ამიტყდა მესტვირეს მუნი,  
ეგ შეჩვეული უჭირო ჭირი,  
რა ვქნა, ღმერთმანი, გუდა აიგვი  
და თვისთავად ამღერდა სტვირი.  
მოდი და შენც ზედ ნუ დაამღერებ,  
როცა ის პანგებს თვით გიყარნახებს:  
კილოს კილოზე მოავარაყებს,  
და როგორც ჭირი, გულის ძაფს ახებს.  
არა, ღუმილი აქ იღარ ძალიძს,  
ქავანჩამ გუდას მოუხსნა თავი.

შორს ხელმწიფება! ეხლა ამ წუთში  
მისი მონა ვარ მე საცოდავი...

საქმეს შევუდგეთ. უნდა შეეამკო  
ზოგ ზოგი პირი, როგორც წესია,  
რომ მოვამყიო ის უცილობლათ,  
რაც მას უტყუვრად დაუთესია.

მართალი არის, ხოტბანი ჩემინი  
კულავ შაირულად უნდა მოვდახო,  
მაგრამ შაირიც ხომ სარკე არის,  
შეგ სახე შენი რომ დაინახო.

იი ეს პირი, ანუ ეს გმირი,  
„პარტია“ კაცი, „სან-ფარი“ სრული,  
ინტელიგენტურ დემოკრატიულ  
ნამდვილი მუშა შტრეიკბრესტულა.

ცნობილი თავის ღაწვთა სიმაგრით  
და შუბლის ძარღვით ელასტიკურით,  
ლამით „ქაღალდით მეოთხოვბითა“  
და ძვლის ჩხაკუნით ყოველდღიურით.

სხვისი ზნების ზე კრიტიკოსი  
და ლექციურად ზედ მობაასე,  
თვით კი ზნების სამფლობელოში  
როგორც მანასე: ისე, ხან ასე.

მოსწონს მას თავი გამარჯვებული  
და ფვისი „ჭრელი მებრძალი ფარა“,  
მაგრამ ზიზის იწვევს თვისინებშიც  
ეს პარტიული ტაკი მასხარა

აგერ ეს კაცი, ანუ ეს ქილი  
ამაყი, როგორც იალბუზია,  
სხვა, თუგინდ იყვეს ლირსებით სავსეც,  
მასთან, მითხარით ენ რა ბუზია?

მხოლოთ მას შეენის პატივისცემა,  
აჩჩენებშიაც თეთრი კენჭები.  
რისთვის? საბუთი თვალსინოა:  
სიშაღლე, სიმსხვე, ფართე ბეჭები...

თუ ეს არ კმარა, ასწაურია,  
თვალიც, თუ გურით, ვაჭარიც დიდი.  
„უყვარს“ სამშობლო, მას ქეც გაპყიდის,  
თუ სხვა არ შერჩი რამ გასაყიდი.

მერე რა? აქ ხომ ყიჯვა-გაყიდვები.  
დაცულ იქნება უბრალო წესი.  
მას „მმობის დროშაც“, ხელში უპყრია,  
როგორც დაბალი ხალხის ანკესი.

ეგ მიტომ, რომ ის მეთევზეც არის  
და ხელოვნურად ამმღვრევით წყლისა,  
რაღაც ეს მისი სახსარი არის  
თავის გზტანის წლისაგან წლისა.

მაგრამ დროება დარაჯი არის  
ასეთი ჯურის ფარისეველთა  
და მათი ტიტვლად გამზეურების  
საქმე მომავალს უპყრია ხელთა!..

—  
ი ეს „გეოც“ მღერის და მღერის  
და მას ოვით მოსწონს თავისი კირო  
თუმც სხევბის აზრით მისი სიმღერა  
სასაცილოა და სათაკილო.

„გეო, გაჩუმდი!“ ეუბნებიან,  
„თუ შენცა გემშის ის, რასაც მღერი“...  
გეო კი აბა რის გეო არის,  
რომ ამ შენიშვნის უცვალოს ფერი.

მღერის და მღერის გეო ურჯულო,  
მას თითონ მოსწონს ოვისი სიმღერა  
და უცრალდებას კი აღარ აქცევს,  
აგრე შე გულა რომ ვამიბერა...  
—

ასეთი არის მესტვირის ბედი:  
გულის შეუფე, მონაა გულის,  
სხევბს კი ჰონიათ, რომ მესტვირულში  
ის გამჩჩევია კარგის და ცულის.

ტყუილი! მხოლოდ როდესაც გუდა  
ჩემი სხვებისგან გაიძერების,  
ნუ თუ იმავ დროს არ მექოდეს ნება  
ჩემსავე სტვირზე მე დამდერების!..

ონისიშვ.

## „ქალაქი ქიმშილეთი“.

(სახუმარო ტრადი-კომედია ქრთ სურათად)

**მომქმედი პირი:** ქ. შიმშილეთის მოქალაქენი.  
(მოქმედება სწარმოებს ქ. შიმშილეთის ქუჩაზე).

I

(ფარდის ახდისას სურა ლამის ბურუსშია გა-  
ხვეული. არაფერი მოსჩანს. სამარისებური სიჩუმეა; მხოლოდ ხანდისხან ამ სიჩუმეს ძილში მყოფი აღა-  
მიანის ამონხერა ან და ხერინვა დაარღვევს. გაივ-  
ლის ცოტა ხანი და სურაზე ლდნავ ინათებს, გან-  
თიადი ნელ-ნელა ახლოვდება, ბურუსი იცრიცება

იფანტება და ბილოს მსმენელს გარკვევით წარმო-  
უდგება თვალ-წინ ქ. შიმშილეთის საქამიად ფართე  
და მოგრძო ქუჩა. ქუჩა იწყება სცენის მარცხნივ,  
გადის მთელ სცენაზე და იკარგება ქალაქის მაღალ,  
შენობებში და სახლებში. ქუჩის თავში, სადაც მას  
უერთდება მეორე ვიწრიო ქუჩა, რომლის მხოლოდ  
პატია ნაწილი მოსჩანს სცენიზან, გაშენებულია პა-  
ტარა დაბალი საგაჭრო რომლის განცხადებაზე შემ-  
დეგი წარწერაა: „Городская потребительная  
лавка“. ქუჩის ერთ მხარეზე რიგ-რიგობით ჩამწ-  
კრივებულია ხალხი, რიგი იწყება სავაჭროს დახუ-  
რულ კართან, მიყენება გასწვრივ ქუჩას და იკარ-  
გება მის სიღრმეში. ეტყობა ხალხი დიდი ნიდან  
არის რიგში ჩამდგარი, რადგან ზოგს თან სკამი  
მოუტანია, ზედ ჩამომჯდარა და რაღაც ფიქრს მის-  
ცემია, ზოგს კი ტახტიც წამოულია, გაუხდელით  
ზედ წამოწოლილა და უშფოთველით ხვრინავს,  
ზოგიც ფეხზე დგას ან და ზედ ქუჩაზე გალართხუ-  
ლია და პაპიროზე ეწევა, ყველას თითო კალათი  
ან ხელში უჭირავს ან გვერდზე აქვს მოდებული,  
სახეზე ყველას მოუთმენლიგა ეტყობა, მათი თვა-  
ლები ხშირად მიიმართება სავაჭროს დახურულ კა-  
რებისკენ. სინათლესთან ერთად სცენაზე მატულობს  
ხალხის ამოძრავებაც. ისმის გაურკვეველი ლაპარა-  
კი და გუგუნი. ამავე დროს მარცხნივ, ვიწრიო ქუ-  
ჩაზე გამოჩნდება რამოდენიმე მომავალი მოქალაქე.  
ერთი მათგანი ძლიერ მობარბაცებს, ხელს ხან მუ-  
ცელზე იტაცებს და ხან თავზე, დანარჩენი თავჩა-  
ლუნული მოდის და თან რაღაცაზე მოლაპარაკობენ.  
მათ უკან მოსდევს შუა ხნის დედაკაცი, ეტყობა  
მრეცხავია, კაბა დაკარწიხებული აქვს, ხელები წა-  
მკლავებული, თთქმას ეს არის ეხლა მიუტოვებია  
სარეცხის რეცხვაო).

გამოსვლა ნირგელი.

**პირები მოქალაქე.** (ბარბაცით და თავზე ხელის  
მოქერით).

თავი გიბრუის, სული მიწუსს,  
გული შერევა;  
ძლიერსლა დავდივარ, დავბარბაცებ,  
სიცხე მერევა;  
უურში მომესმის განუწყვეტლივ  
ურიალ-წივილი,—  
უმცხვარმა პურმა ამიტება  
კუჭის ტკივილი.

(ხელს კუჭთან მიიდებს და სახე დაელრიჯება).

ოჲ, ხად წავიდე, ვის მიგმართო  
დასახმარებლათ,  
საშინელ სენის გასაქრობათ  
გასაქარვებლათ...

**შეორე მოქალაქე.** (გააწყვეტილებს)

ეჲ, აზეიადებ, ძმაო ჩემო,  
მაგ შენს გასაჭირს!  
ერთი მითხარი კუჭის ტკენით  
აბა რა გიჭირს!  
მისი მორჩენა მე თუ მკითხავ,  
არც თუ ძნელია,  
მას მოუხდება ერთი ჭიქა  
ჩაი ცხელია...  
შენ ჩემი მკითხე, ჩემი ბოლმა  
და იარები  
ორი თვე არის პაზარ-ბაზარ  
დავიარები...  
ხან კი გავრბივარ, როგორც გიუ,  
როგორც აფთარი,  
რომ არ დამასტრონ, დროზე დავრჩე  
რიგში ჩამდგარი...  
... მაგრამ... ეჲ მაინც ვერ ვიშოვე  
კენჭი შაქარი!!!  
(სიბრაზისაგან ტანში მივლის  
კვანჩხისა ქარი!).

უშაქროთ რაა ჩემი ყოფა,  
ჩემი ცხოვრება,  
თუ არა ტანჯვა, მულამ ძრწოლა  
და მწუხარება!  
უმისოდ ჩაი, რაც გინდ უყო,  
მაინც მწარება  
გინდ ცივი იყოს, გინდ ნელ-თფილი,  
გინდ მდუღარება..

(ხელს უიმედოთ ჩაიქნებს, შექერდება და ღრმათ  
ჩაფიქრდება, მასთან ერთად შეჩერდებიან დანარჩენი.  
მოქალაქენიც).

**პირველი მოქალაქე** (უკმაყოფილოთ).

რათ ფიქრობ, ძმაო, რომ ეს ბედი  
მარტო შენა გჭირს  
და სხვას სრულებით შაქრის შოვნა  
აღარც კი უჭირს?  
მე მის ძებნაში უფრო ზედ-მეტ  
ტანჯვას განვიცდი,  
თითო დუჭნის წინ, თითო კვირას  
ვზივარ და ვიცდი.

ეჲ, მასზე ფიქრი, მისთვის ძრწოლა,  
გაწიწმატება,  
ჩემს კუჭის ტკივილს ერთი-ორათ  
ზედ ემატება!

**შეორე მოქალაქე** (ფიქრისგან გამოირკვევა, თავ  
ზევით ასწევს, ხელს პატრში გააშვერ  
თითქოს ვიღიას ელაპარაკებათ).

ჰოი, შაქარო! ვინ მომტაცა  
მე შენი თავი!  
ვინ ჩიილინა საქმე იგი  
საზიზლი ავი!  
რომელ მექარხნებ, რომელ ჩარჩმა,  
რომელ ვაჭარმა,  
ღვთისგან წყეულმა, ცოდვით სავსემ  
და ამგზარმა!...

ან სად დაგმალეს, სად ჩაგკეტის  
რომელ სარდაფში,  
რომელ მიუვალ, მიუდგომელ  
ციხე ლარბაზში!...

ოჲ, გევედრები, ჩემო ყველავ,  
სულზე ჯტკბესო;  
ყველა საგანთა მეფეთ-მეფევ  
და უკეთესო,  
მარქი კირიმე, სად ხარ ერთი  
სმაი გამეცი,  
თორემ ძებნაში გზა დავკარგე  
სულით დავეცი!

(ხელებს დაუშვებს და ვედრების თვალებით გას  
ქრის ცის სივრცეს).

**შესამე მოქალაქე** (ამოიოხებს)

ასეთ გასაჭირს დიდი ხანია  
მე შევეჩერიე,  
კუჭიც წამიხდა, ჩაის სმასაც  
გადავეჩერიე!  
მე დღეს მაკვირვებს მხოლოდ ერთი  
ჩვენი ამბავი,  
(ვერ გავარკვიე თუმცა დიდხანს  
ვიმტვრიე თავი)  
თქვენც მგონი იცით ამას წინათ  
მოხდა თათბირი,  
რომ აღმოეფხვრა ხალხის ტანჯვა  
და გასაჭირო.  
მისა შემყურეს სწორედ გითხრა  
რწმენა მომეცა,  
რომ ამის შემდეგ გვექნებოდა

ერბოც და რძეცა...

... მაგრამ გათავდა ის თათბირი

მშენილი და წყნარი,

და რწმენაც გაქრა როგორც ტკბილი  
ლამის სიზმარი..

შაშ რათ იწვევდენ ტყვილად თათბირს  
იქ სეკრობოს

თუ არ მოგვეცმდენ პურზე საცხებს  
კარაქს და ერბოს???

**შეოთხე მოქალაქე** (აღლვებით).

ჰირს წაულია თქვენი ერბო

თქვენი შაქარი

ჩემთვის ის მაინც მარტოდენ

ოცნება არის

მე ვიქწებოდი მხიარული

და ბედნიერი

რომ აღმეჩინა სადმე ერთი

ყველის ნაჭერი.

(შრეცხავი დედაკაცი ყურს უფლებს მათ ლაპარაკს  
და სახეზე უკმაყოფილება ეხატება).

**შრეცხავი ქალი** (თავისთვის).

ლაფი დაგასხი ყველას ემაგ  
ქეციან თავზე!

აბა თუ დასძრან ერთი ენა

სხვა რამ საგანზე

სულ მუდამ კუჭი, მუდამ ჭამა  
გაუმბადრობა,

აი რა ახსოვთ და რაზე აქვთ  
მათ მუდამ ბჭობა!

მე კი საწყალსა ჩემს ყოფნასა  
და სიუმცხლეში

სხვა რამ საჭმელი არ მინახავს  
ჩემს თავის დღეში,

გარდა აღღრეულ ციფი წყალის  
და ხმელი პურის

ისიც ხან ცომის, ხან დამწვარის

და დახრუკულის.

მაგრამ არათრათ მივიმჩნევდი

ტანჯვას ამდონსა

რომ ვიშვევიდე სადმე მაინც

ოყა საპონსა.

(ქაქანით გადის საჩქაროთ).

**შეხუთე მოქალაქე.**

გული გამიტყდა, არას ვამბობ,

ვარ ჩემთვის ჩუმა...

შაგრამ თუ რამეს წაგვალგება

კილევ ეს დუმა.

ხომ ხედავთ გვიხსნის აგერაეგერ

ფურნებს ლავებება,

აღარ დაგვაკლებს აწი შაქარს,

პურს, ბუბლიკებსა...

**შეოთხე მოქალაქე.** (ცის სივრცეს თვალს მოაშო-  
რებს და უნებლივთ მიიხედავს ჩამწკრი-  
ვებულ რიგისაკენ. რომელსაც აქმდე ვერ  
ამჩნევდა, და აღლვებით მიმართავს და-  
ნარჩენებს).

თავი ვანებოთ ამ ლაყბობას

დრო არის, კმარა,

ხომ ხედავთ ხალხი „ოჩერედში“

როგორ ჩამდგარა

ჩქარა გავიქცეთ, დავიკავოთ

სადმე აღილო,

თორქმ ეს არის დაგვეკარგა

შაქარი, ფქვილი!

(ამ სიტყვებზე უველა აღლვებით მიაშტერდე-  
ბა ჩამწკრივებულ რიგს, ერთი საზარელი „ვაა“  
აღმოხდებათ გულიდან და გაექანებიან რიგში ჩა-  
სადგომათ.

მზე თანდათან ზევით იწევს და თავში უცხუ-  
ნებს ხალხს. რიგში მდგომნი უკმაყოფილებას აკ-  
ხადებენ „რათ არ აღებენ ამდენ ხანს დუქანს“ მო-  
ისმის აქა იქ. ბოლოს გაიღება სავაჭროც. მისი და-  
ნახვაზე ზოგი ტოვებს თავის აღილს და პირდაპირ  
დუქნისაკენ მიდის, მაგრამ მათ აკავებს პილიციელ  
ნი. ორიოდე ბედნიერი მოქალაქე ასწრებს სავაჭ-  
როში შესვლას და საქონლის წამოღებას. მაგრამ  
გაიღლის რამდენიმე წამი, სავაჭროს კრებში გა-  
მოჩნდება საშვალო ტანის ჩასუქებული ადამიანი  
და ხალხს გადასძახებს:

„ბატონებო ვინაიდან საქონელი აღარ ათავდა,  
ამით გიცხადებთ რო ის უკვე...უკვე გათავდა!“

ხალხი ამ სიტყვებზე ერთხანს გაქვავდება, შემ-  
დეგ ისევ ამძვავდება, გაისმის საშინელი პრო-  
ტესტი, ყველანი შემოერტყმიან სავაჭროს. აღლ-  
ება თანდათან მატულობს).

(ფარდა კი ნელ-ნელა ეშება)

პლატანენკა.



## გენერალი დურის სემონი

შუა დამისას, ოდეს მთოვარი,  
სახე შიგქრალი და ჰელოვანარე  
გამათის გთიდან ჩაუქოტინებს  
საბარით მაცურა თფილისის პინქს,  
ქვრინტი ხვლება მოვალაქეთა...  
რიც იყრჯო: „მოკლათეთა“.  
ინი სდგანან დღიან დამიან,  
გლვერით და პვარტლით დაინამიან...

მარცხნია წვერო იმათი წყბის,  
(ხელზე ქახური ცვლა უწყბის)

„ჟაქარა ღუქანის“ ღუქარება,  
საღ ლაბინი სულეი და ნეტარბა.  
ურნოტის გარღვევა ამ „ციხის“ პირად  
მსხვრელსა მოითხოვს ღიღს შესაწირალ.

და აი, როცა კვლავ იჭუალამ  
ფრანტი მოუვლინა ქალაქის „მება“,  
და უბატქება ერთგული ჯარი:

— ვრავი ჯილამ კუიკ შაკარი!

— ვევე.

(სიმპლიკიტუსილან)



ექიმი. კუჭუ ყველის ნამცუცი აღმოჩნდა. საკვირველია, თუ ასეთი მღიდარი იყო თავს რისთვის იხრჩობდა?

## ქუდი და თავი.

აღვარეთისა  
გამგე ეშმაკო!  
ნება მომეცი  
ვილაპარაკო.  
მწალის გაუწყო  
მცირე ამბავი,  
მით შევაფასო  
ქუდი და თავი.  
დამეთანხმები,  
არ არის ცუდი  
როგორა ფასოს  
თავი, ან ქუდი.  
ზოგი თავია  
ღირს მთელ ქვეყანათ  
და ზოგი ქუდი  
ას თავისთანათ.

ხომ ხედავ, რა ჰქნა  
ომის ხანამა?  
ზღვა და ხმელეთი  
სისხლით დანამა.  
მის მეოხებით  
თითქმის სუსყელა,  
ევროპისაკენ  
მიღის ნელ-ნელა.  
ქუდებით ბაძვენ  
ევროპიელებს,  
მაშ გაუმარჯოს  
ისევ მთიელებს...  
შეხედავ, მოდის  
აგერ ბატონი,  
მეტად ზეგადი  
და თავ მამწონი.  
ქვეყნის მხსნელს უგავს  
მას თავის კანი  
მიტომაც ხურავს  
მთელი ბატკანი.

ამას გასცდები  
ცოტას მანამა,  
შეორეს ნახავ,  
ხურავს პანამა  
შეხედულობით  
კაცთ სწორია  
იტყვით: ჩამდევილი  
პროფესორია!  
ამისგან ელის  
ჭვეყანა ხსნასა...  
ფრთხილად იყავი,  
ნუ გასცემ ხმასა.  
მესამეს ხურავს  
ჰლაპა ჭინჭისა,  
მაჩვენებელი  
ღიდი ნიჭისა.  
უცნაურია,  
ოთხ ნაჭრიანი,  
შიგ რომ თავი ძევს  
გოგრა ჭკვიანი,  
როგორც ვუყურებ  
ესც კარგია  
ქვეყნის ჭირ-ვარამს  
ჰლაპით არგია.  
ნახე სიჩერით  
რომ მობრძანდება  
საქმეზედ მიდის  
უგვიანდება  
ჭუდზე მიუკრავს  
ორი კაკა! და...  
(ჭუდის დაჩვლეტა  
რათ არ დაზარდა?)  
არ დავიყვირებ,  
გეტუვი უურშია:  
ნასწავლი არის  
სამსახურშია.  
ქრთმებს არ იღებს  
მით გულ ჩვილია,  
ღმერთმა აჩუქოს  
ვისიც შვილია.  
შეხე შეხუთეს,  
ხმალი ჭილია...  
ეპოლეტებით...  
ეუც ღილია...  
გუშინ თუმც იყო  
იგი ავარა,

დღეს შუბლი, მხრები,  
მოიჯავარა.  
ნუ თუ აჯობებს  
ეგ სულყველასა?  
იმისგან ველით  
დახსნას, შველასა...  
ამისთანები  
სხვაც მრავალია  
თავიც და ქუდიც  
შესაბრალია.

ან. განჯისკარელი.

## სტატისტიგა.

თანახმად რედაქტიის დავალებისა, დავიარე ნაწილი ჩევნი სამშობლოსი — გორის შაზრა, რათა გამომტრეკვით სტატისტიკური ცნობებით შემდეგი საკითხი: „რა გავლენა იქონია მიმდინარე ოშშა ქალების გათხოვებაზე?“

დავიარე თითქმის ყველა სოფელი გორის შაზრასა, და გიზიარებთ იქ შეკრებილ ცნობებს.

პირველ ყოვლისა ვესტუმრე ქალაქ გორს. სადგურზე ჩამოხტომისთანავე დატრმუნდა, რომ საქმე ცუდათ იყო. მთელი გორის სადგური მოქედოლი იყო ლამაზი სქესით ანუ „პოლიტ“ და ისშოდა მათი მწარე მოთქმა:

გათხოვება გვი-ი-ი-ნდა...

გათხოვება გვი-ი-ი-ნდა...

დავეკითხე ერთ-ერთ ჩემს შეგობარს:

— კაცო, რა ამბავია ეს? ჩევნს დალლუკილ თფილისში ამისთანა სურათი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

— ეჭ, ძმაო, თქვენი თფილისი მართლა დალლუკილი ქალაქია. აქ კი... ეჭ, რა ბევრი გელა-პარაკო! ხუთი „ზაკონი“ ცოლი მყავს და რვაც „უზაკონი“.

— მერე, რა არის ამის მიზეზი?

— რა და ის, რომ ყველა ომში გარბის გაფაციცებული. ვინც აქ რჩება კი — ვაი მისი ბრალი! რამდენი ვეხვეწე, რომ იცოდე, „ნაჩალნიკს“: გამგზავნეთ, ბატონო თმში“. — „არა, არ შეიძლება, ფილტვები სუტი გაქვსო“.

ბევრი ძლი დავაყონე ხელათ შეგბრუნდი გაგონში, შევედი საპირფარეშოში, გადავიცვი

ქალის ტანსაცმელი და გამოველ. მაღლობა ლიქრს, რომ წვერ-ულვაშს ეიპარსავ, თორემ ცუდათ წავი-დოდა ჩემი საჭმე...

ორი დღე დავჩი გორში და შემდეგი ცნობე-  
ბი შევკრიბე:

გასათხოვად ქალთა რაოდენობა უდრის 3000.  
მათი წლოვანობა ასეთია:

17—20	წლ.	1000	სული.
20—25	"	800	"
25—30	"	700	"
30—40	"	300	"
40—45	"	150	"
45—50	"	50	"
<b>ჯამი</b>		3000	სული.

ამათ რიცხვში სუთასი მეტათ ლამაზია, ორი  
ათასი შუათანა სილამაზისა და დანარჩენი ხუთასიც  
გონჯი. მზითევი ყველას ბრომათ აქვს, რაც ახს-  
ნება გორელ მცხვერებთა მატერიალურ უზრუნ-  
ველ ყოფით. აქაურ ქალთა საზოგადოება „მანდი-  
ლოსანს“ გაუნდებია თავი წევრთა შორის უთან-  
ხმოებისა და ჩეუბისათვის და განუზრახავს დაარ-  
სოს რამდენიმე ათეული საქორწინო კასა. საქ-  
მეების საწარმოებლად დღეუდეზე ელიან ამ საქმის  
კარგ მცოდნეს, ივ. როსტომაშვილს. საქიროა აგ-  
რეთვე მათვის გამოცდილი მაჭანკალი\*).

გორის გარშემო სოფლებში საერთო რიცხვი  
გასათხოვართა უდრის 20000-ს, ამათში უმეტესი  
ნაწილი ახალგაზრდანი არიან, მხოლოდ მზითევი  
კი მეტ ნაწილს ძლიერ ცოტა აქვს. ზოგს სრუ-  
ლებითაც არაფერი არ გააჩნია. ცხინვალში და მის  
მიდამოებში შედარებით უფრო ცოტა გასათხოვარი  
ქალებია: სულ რაღაც 2000. ამათში სულ ყევლა  
ლამაზებია, ჯან-ლონით საესე, ახალგაზრდა და მზი-  
თვიანი. მარტო, რაც ოსურ ყველს გამოატანებენ  
თოთო მათგანს, იგი ღირს ფასათ! (ნუ გაგავიწყდე-  
ბათ, რომ თფილისში გირვანქა ოსური ყველი თოხ  
აბაზათ ფასობს).

ხაშურისა და სურამის რაიონიც განიცდის სა-  
სიძოების კრიზისს. ხაშურში 1000 სული, სურამ-  
ში 600 სული, გარშემო სოფლებში 10000 სული  
გასათხოვარია. თუმცა აქ ამ საკითხს ისეთი მწვავე

ხასიათი არ მიუღია, როგორც გორში. აქ ყველას  
იმედი აქვს დმერთი ჩამოუგდებს ან „სუდენტს“, ან  
„პრაპორჩიქს“.

რომ იკოდეთ, როგორ მექნელება დისკანტით  
ლაპარაკი! მაგრამ, მეტი გზა არ არის! თუ არ მინ-  
და, რომ ძალით რამდენიმე ათეული ცოლი შევი-  
ძინო—ქალის ტანსაცმელი უნდა მეცვას, დღეში  
ორჯერ ვიპარსავდე წვერ-ულვაშს და დისკანტით  
ვილაპარაკო...

დასასრულ ავიარე ბორჯომის სეობაში. იქ  
ჯერ სრულებით არ უგრძენიათ სასიძოთა ნაკლე-  
ბობა. გასათხოვართა რიცხვი ჩვეულებრივია. წარ-  
მოიდგინეთ, ქალებს, მზითევიც ბევრი არაფერი  
აქვთ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც სახლში არ  
უჩეხებათ მშობლებს გაუზონერათ. ეს ამბავი გაუ-  
გიათ გორში. და ამიტომ მოსალომენებია რამდე-  
ნიმე ათას გორელ გასათხოვარ ქალთა თავდასხმა  
და სასიძოების მოტაცება. ამ უბედურების თავიდან  
ასაცდენათ ზომები მიღებულია. გაამაგრეს ტაშის-  
კარისა და სარმანიშვილის კარის რაიონი და ჰყურიან  
ბაჟურინის რეინის გზას. უკანასკნელ გზას ანად-  
გურებენ, რათა ზურგი გამაგრებული ჰქონდეთ  
და არ შეიძლებოდეს შემოვლა...

თფილისისაკენ გამობრუნებისას მოულოდნელი  
ხიფათი შემეტხვა. რადგან ჩემი მისია დავისრულე  
და ამიტომ საშიში აღარ იყო, რომ ქალებს ჩემზე  
იერიში მოეტანათ, გავიძრე ქალის ტანსაცმელი და  
ჩავიცვი კაცისა. მაგრამ, რაღაც ეშმაკად, გორის  
სადგურზე ვაგონის ფანჯრიდან თავი გამოვავ. და-  
მინახეს. წამსვე გამომათრიეს და ხელდახელ გადამ-  
წერეს ჯვარი თოხ ქალზე! ერთსა ჰქონან მაშო, მე-  
ორეს სონა, მესამეს თებრო მეოთხეს—კეკელა.

მაშო ოცი წლისაა, მზითევათ აქვს ატენში მა-  
მულები და გორში ორ სართულიანი სახლი, სონას  
ათასი თუმანი ნაღდი ფული აქვს, გარეგნობითაც  
არა უშავს-რა. თებრო გონჯია, არც არაფერი მზი-  
თვად აქვს. კეკელა ლამაზია მხოლოდ ოცდა ათი  
წლისაა და მზითევად ხუთი ბალიშისა და ერთი ცა-  
რიელი სკივრის მეტი არა გააჩნია-რა.

შევეწირე ზვარაკად პრესსა!

გუგული.

\* ) ქუთაისიდან შეიძლება დაბაზება ბ-ნი ბარკალიასი,  
თუ იქაურები დასთმობენ.

## ვიკაგებ მარა!

(სცენა)

გლახა თვალი არ მეიძრუნებოდა ჩემი ეზოს-კენ, სახსე ვიყავი კაცით-კაცით; ჯალაბით-მეზობლობით, მტრითა და მოყვრით, სახლითა და ბოსლით. იმე, ცაჲ ხელი მეკიდებოდა. სიღარიბე თვალ წინ რავა წარმომიდგებოდა. სხევებს ქე უქებთ პროლეტარობას, მარა ჩემთვის, რომ ვინმეს შეეწია მაგი, გულში გვიშურებოდი, მარა მაინც ჩუმათ ვიყავი. აი „ჩემა“ კი გოუჩენეს ჩემი ცოდვით, ჩემი კერის გამომფხევავს. არა, ძალიან ცუდდროს კი მოვესწარი მაინც. პეტერე ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი და ამისთანა ამშებს გეერბინა ჩემს წინ, მართალია პლასიონებში არ ვყოფილვარ, მარა რაცხას მეც ქე ვისწავლიდი. ამ დროულ კაცს გაზეაში ათჯერ არ ჩამოხდავს და ახლა კაი პლასიონევით ვკირკეტობ შიდ. სწორეთ ზოგ სურენტზე ბევრათ უკეთესი ვიქნებოდი, რომ სხვა დრო იყოს და ის გემნაზიის კარების საბუთი, რომ არ იყოს საკირო. ჰო ასეა, მარა ი გრიგოლაი, რომ არის ჩევნი საჯ(ა)ოხე(ლი), აი ის თფილისში, რომ დაყიალობს სასტიპენდიოთ იმას არც ახლა ჩამოუვარდები, მარა სად მცალია ამდონი ბატონი წაღანე არ მოგახსენეთ, ოჯახი მქონდა, მარა რა ოჯახი, ახლა კაცი სახლილან გამცალეს. ერთი შეილი თანთარისკენაა და ისე წერილს არ მეიწერება, არ იკვნეს გოლდეს საცოდვი, მეორე კოდომი იმის ახლოსაა. ორი თოფ-ქვეშ დგას: ახლა ასწავლიან ნიშნობიას და საცაა იმათაც იქით უკრავენ თავს. იმე ერთი რავა არ მეკუთვნოდა ამდონის გამზედელს? ქალები, ბაღნები და ევი ორი მოხუცებული ამ დროულ კაცს შემომხერებიან ხელში, მეც მე უბედური ქე ვარ, ვარ კი არა ვმაგრობ ჯერ-ჯერობით, უვლი აჯახს, ქალს ბაღანას. ხშას ვაწვდი მტერს და მოყვარეს. მყავს ღორი და გოჭი; ინდოური და ბატი; ქათამი და კვატი; ჯახრიკე და ძროხა, ძალლი და კატა. იმე ძალლი, მარა რა ძალლი. იმისთანა ჯიშის ღორი, რომ მყალოდა ჩემ ბედს ძალლი არ დაყეფდა: გეიარს ცხრა კვირე ჩემო ბატონი და გამოაგორებს ცამეტ ლეკვს იმისთანა დათითვენებულს რომ, და-და და-და... ისინი, რომ გოჭები ყოფილიყო აბა მაშინ ვიქნებოდი ბედნიერი კაცი. ახლა კიდო ძუძუებს არ

იკითხავთ? რომ ჩამოაწყობს ამ ცამეტ ძუძუს, რომ ტყვილი არ გამომივიდეს თქვენთან, ორ ორი ჩარექა რე კი იქნება შიგ. ყველაფერი კი გამოუკვლევიათ ამ ოჯახ აშენებულებს და ნეტია იგიც გამეეცვლიათ; იქნება ქე დეეწყო ვინმეს მისი ჭამა და ჩემსას სულ ხსნილი იქნებოდა. იმე საძრახისი კი არაა ბატონი, გაჭირდა საჭმე! სიმშილობაც კარზე მომადგა: მღვდელი არ მხოგავს და ბერი, მამასახლისი და მგელი, ვიკავებ ჯერ კიდე ქე ვიუკავებ, მარა ისთე გლახათ-კი ვატყობ საჭმეს, რომ ისინი ომში გაწყობიან და მე ათასი რომ ვიკავო მაინც გლახა საჭმე მომელის და გაპლორეტარებაცა, კარზეა მომდგარი...

ა. ხაბულიანი.

## ჩარჩოთა ჩემპიონი

(ქაზეთისათვეის)

მკითხველო, კახეთს ბევრი ჰყავს  
გამოჩენილი ჩარჩობი,  
მაგრამ გაიცნობ ჩენ „კუს“ და  
გაჭირვებული დარჩები.

ეს „კუს“ გახლიათ რიყში\*)  
ფარჩით მოგაჭრე ვაჭარი,  
რომლის წყალობით კახეთში  
ბევრს აუკირდა სახლ-კარი.  
„კუსისებრ“ დახელოვნებულს  
სხვას ვერა ნახავთ მეონია.  
ღმერთს გეფიცებია, რომ იგი  
ჩარჩების ჩემპიონია.

თუ არა გჯერათ, მისმინეთ  
მოგიყვეთ მაგალითებსა,  
(ამის გამგონე, ყურებზე  
იუ მიიფარებთ თითებსა):

უშაბრამან-გოგირდოთ  
კახეთი სულს რომ დაფავდა,  
ეს „კუს“ თურმე ამ წამალს  
სარდაფში შეინახავდა;  
და როცა კახეთს წამალი  
მთლიანად გამოელია,  
და განიცდიდა ლიდ საფრთხეს  
მთელი ალაზნის ველია,

\*) თფილისშია.

„კუმა“ გამოჰყო ფეხები:  
„მსურს აგაცლინოთ ჭირიო,  
მოგყიდით შაბსა და გოგირს,  
თუმც ფასები აქვს ძვირიო“.

და ასე, ზლაპრულ ფსებში  
ჰყიდა უღმერთოთ წამალი,  
და გაასწორა მიწასთან  
გლეხი, ისედაც საწყალი.  
რაღაც ფასის აწევა  
მას ვერ უკლავდა სურვილსა:  
შაბში ქვას გამოუჩევდა  
და გოგირდს ქატოს თუ ფქვილსა.

მენ.

## ჭიათურა

(განსართოვადანგის სააგნტო).

მოხდა ყრილობა, სადაც დაწერილებით განხილულ და ოღნუსხულ იქმნა ცნობილ ჩარჩ ვაქარ მიხა ლომაძის მოღვაწეობა და მისი ხალხისადმი გულშემატკიფრობა. ოღმოჩნდა, რომ ბ. მიხა, მთელ თმის განმავლობაში არ ზოგავდა ენერგიას და ხვრელ-სარდაფებში თავისი ხელით აწყაბდა და უნა ხავდა საზოგადოებას: საპონის, შაქარს, ფქვილს და და ათასგვარ საჭირო ნივთებს, რათა თმის შემდეგ ჩამოვარდნილ კრიზის-უმუშევრობის დროს დაეკმა ყოფილებინა ხელმოკლე საზოგადოება. მართალია, ხან და ხან, ღამის ორ საათზე მეპურეები არ ასვენებდენ და თოთო ცალს ფქვილს ძალის ძალით გამოაძვრენიებდნ ხოლმე ხვრელიდან, მაგრამ მოგეხსენებათ თავაზიანი კაცის ბუნება, თუ როგორი სათუთი და ჩვილია. მიხაც თავის გულჩელობით და თავაზიანობით სტუცვდებოდა და მართალია გაპივრებულ ხალხისადმი ლაგროვილ საჭირო საგნებს აკლებდა, მაგრამ ხოლი მას არასოდეს არ ავიწყდებოდა, თავისი თავაზიანობით იქამდისაც კი მივიღა, რომ ამ საერთო სიძევირის დროს თავნებ იკლებდა და ერთ ტომარ ფქვილზე 30 მანების მეტს არ ილებდა! ისიც იმისთანა დროს, როდესაც ჭიათურაში ქატოს ჭამდა საზოგადოება პურის ნაცვლიდ. მიიღო რა კრებამ სახეში, მისი ასეთი ხალხისადმი გულშემატკიფრობა დაადგინა შემდეგი: „ხალხის გულშემატკიფრა, მისა ლომიძის დუქნის წინ აღმართულ იქმნას მარმალილოს ძეგლი შემდეგის წარწერით:

ეს ძეგლი, სიცოცხლეში,  
აღუმართეთ დიდ მიხეილს,  
ხალხის მოსარჩელ-მოამაგეს  
„პატიოსან, ქორფა-ჯეილს“.

ეს წარწერა და ქვაზე ჩუქურთმის ამოლება კრებამ დაავალა ცნობილ მხატვარ მოქანდაკეს დათა ლაბაძეს, რათა მან არ დაზოგოს თავისი ენერგია და ის ლირს შესანიშნავი ასოთ სტილი სტეფან უგულავას „ვივესკისა“, რომელიც მის მადლიან ხელს ეკუთხის, უსათუოდ გადმოღებულ იქმნას ამ ძეგლზედაც. დასასრულ კრებამ დიდი მაღლობა გადაუხადა დიდათ პატიოცემულ ლომაძეს ასეთი ხალხის ერთგულობისათვის და უბოძა ჭიათურის საზოგადოების საპატიო წევრის ხარისხი. როგორც მოსალოდნელი იყო ხალხის მოჭირნახულესაგან, მიხამაც თავისი მხრით გადასცა კრებას ლარიბთა შორის დასარიგებლათ უობისკის“ დროს აღმოჩენილი 21 ყუთი საპონი, რამდენშე ათეული ტომარა ფქვილი პირველი ხარისხისა და სხვა მრავალი საქონელი. კრებამ ვაშას ძახილით და ხელში აყვანილი მიაცილა თავის მაღაზიამდე ჩვენი დილებული ხალხის მოსარჩელ მიხეილ ესტატიჩ ლომაძე.

გოგია.

## დეპეშები.

(განმანაწ. შუნგტი)

**ნაცოლული.** „სათნოების და“ კუნტრუშებემ ორი პრიზი მიიღო: ერთი სირბილში და მეორე კრივში.

**იქიდანვე.** „დების“ საერთო საცხოვრებელში მაჯლაჯუნები გახშირდენ. ძალიან გადაემტერენ კოლონაშვილს, ხშირად გაიტაცებენ ხოლმე, მაგრამ საბეჭდინერთ უცნებლათ ბრუნდება.

**იქიდანვე.** საოჯახო ნაშილის გამგე ლაზარეთისა შ. კ-ტვი დიდი ხანია სანოვაგის რეკვიზიტის მიერ გამოიდეს, მაგრამ ბოლო დროს ძალიანი გაბარბაროსიდა: ყველი ალკეთა ხმარებიდან, (გარდა ექიმებისა და კონამითის მოსამსახურეთა) ამბობენ, ხორცაც იგივე დღე მოელისო.

**იქიდანვე.** ახალგაზრდა ექიმი, გამგე პუნქტის ამბულატორიისა, ენერგიული მუშა გამოდგა. ბოროტი ენები პაერს სწამლავნ „ჭირებით“, მაგრამ ეს „შერის“ ნაყოფია, რაც შეეხება მიხდომილ წამლობას, ეს იქიდან სჩანს, რომ ფერმკრთალი

პაციენტები რჩევა-გაშინჯვის შემდეგ ვარდისფერი ლოყებით გამოდიან.

### ჯიშშერ.

რკინის გზის მთავარი სახელოსნო. ჩვენი ექიმი ოტაპუსქის შაშინ აძლევს დასუსტებულ მუშას, თუ იგი, (მუშა) თან მღვდელსა და შეალობელთა გუნდს გაიყოლებს.

— უკვე განიკურნა კუჭის ავათმყოფობისაგან უმაღლესი ბრიგადირი. ამბობენ კუჭი ბ-ნ 3—ას მიერ მირთმეულ ცხვრის ხორცმა დაუშინაო. რას იზამთ: „ნაჩეუქარ ცხვრის კბილი არ გაესნება“.

**ოზურგეთი.** ბოქაულის განკარგულებაზ საკაჭროთა დაკუტების შესახებ ვაჭრები ძლიერ იაღელ-კა. მანიფესტაციას ხელმძღვანელობდა გიორგი ჯინგარ-ოლიო. გაემართენ მოედნისაკენ რევოლიუ-კიონცური სიმღერით: „ჩვენ მსხვერპლი გაეხდით თავები ნოქრების“...

**ჭიითურა.** კიტა აბაშიძე უარპყოფს ხმებს, ითქოს საბჭომ შეკვეშირებულ მუშათა ძალას და-ეთმო საბჭოს მოსამსახურეთა მოთხოვნილების სა-მეში. „პირიქით, მათი მოთხოვნილების ამგვარათ აგმაყოფილება საბჭომ ჯერ კიდევ მარტი დაად-ინა და თუ ეს დადგენილება მე დღემდე დაუმალე ისამსახურებს, ეს ლოდ იმიტომ, რომ სასი-არულო ამბის ჩქარა თქმით მეშინოდა ზიანი რა- 1 არ მოსვლოდათო. ამას მავალებდა მე ჩემი მა- იბრივი მზრუნველობაო“.

**იქიდანვე.** თანდათან ირკვევა ცნობილ მამუ- იშვილ-სოციალისტის რ. ანჯაფარიძის ფარული სრები სარეცხი ქარხნის მიყრუებულ ადგილზე არსების შესახებ: ამით თურმე მის აზრათ ქონია კუს მუშები დაეფარა ანტისოციალისტური ელე- ნტების გავლენისაგან, რომ მათ კერძო საკუთ- ების ინსტიტუტი არ განვითარებოდათ და ამას გა- ხელფასის მომატება არ მოეთხოვათ.

**იქიდანვე.** ინტრიგონე, ჩივანაშვილის ავალმყო- ბა უცვლელია. გამოწერილი ექიმი ლიყბაძე ვიდა და შეუდგა მოვალეობის ასრულებას. მისი ჩით ადგილობრივ ექიმებს საესებით ვერ გამო- ვლევით ავათმყოფის მიზეზები. მთავარი მი- ხი მუშათა გაზითის მკითხველთა და შემომწირ- უთა პროგრესიული ზრდა არისო. წუხელ თურ- ავალმყოფს ნაწუვეტ-ნაწუვეტ აბოლებდა: „ამდე-

ნი თბილი სიტყვები... ამდენი ფულები... ოხ, წყე- ულიმც იყავით თქვენი მისალმებებითა და კაპე- კებით... ახ, ერთი რამ თილისმა მომცა, რომ ერთი თითი გავაქიო და სტოპ: შეწყდეს სალამიცა და წვლილიც... დავაღუშო მათი ენა და ჯიბეც... მა- გრამ არა... ვერ შევსძლებ... შელგნებლებია, შაგა- თი... და ასე. ექიმს ავათმყოფის ბალიშ ქვეშ გა- ზეთიდან ასეთი ადგილების ამოჭრილი ნაგლეჯებიც უნახავს.

### ისემცრაგითხება.

**თელავი.** რიყისაგან დაზარალებულ ოჯახთ, ცნობილმა ქველ-მოქმედმა გრაფინია პოზივისამ დახმარება აღმოუჩინა „ჩაშკა ჩაით“.

— შეერთებულის ძალით ბ. კარბელაშვილმა და ავალიშვილმა იქრიში მიიტანეს უპატრონოთ დარჩენილ ამხანაგბაზე. ჯერ-ჯერობით დანაკლისი ერთი ქალია, რომლის ადგილიც წამსვე შევსებულ იქმნა სევდიაფი. დანარჩენი მოსამსახურენი პოზი- ციებს ამაგრებენ.

— ეროვნული შრომისთვის, უმაღლეს მთავ- რობის განკარგულებით ადგილიდან გადაყენებულ იქმნენ: სულინაშვილი, შავლიევი და ჭიკაძე მუნ- დირის ტარების ნებით.

— თუ ბოროტ ენებს დავუჯერებთ, განზრაუ- სულია თელავის წმიდა ნინოს სასწავლებელი პრა- პორჩიკების სკოლაში გადაიტანონ. მიზანი გამო- ურკვეველია.

— თელაველი ექიმები საჯაროთ აცხადებენ, რომ ქათმებისა და კვერცხის დაძვირების გამო შა- ლაურელ და კურდლელაურელ ქალ პაციენტებზე ნიხრი აწეულია.

— რაღაც თელავის ამხანაგბაში ლუკაშვილი შაბიამანითურთ დაკარგა და გაგზავნილ მექებრის კვალიც არსალ სჩინს ამხანაგბა ძაბით შეიძინა.

### თელაველი.

**ქ. არმავირი.** ვვ ამთვეს, 14 საათზე და 63 წუთზე ღვინით მოვაწრე ბ-ნ ჯ-ძის „პალვლის“ დარბაზში შესდგა ადგილობრივი დრამატიული სე- კცეციის ჩვეულებრივი საზოგადო კრება. კრებას თამაღლებდა ბ-ნი დაბახბა. დიდი თაბბირის შემდეგ სექციიმ ჭიქების ყრით იზრჩია გამგეობა 21 კაცი- საგან შემღვარი. კრების დაესწრო სულ 8 კაცი. დიდი კამთი გამოიწვია მერიქიბის ამორჩევები. დი- დი შეხლა შემოხლის და „ბიუთულკების“ გაცრიე-

ლების შემდეგ ეს ხელობა ებოძა მეღვინე ივანეს და დაევალა: რაც კი შეიძლება სისტემატიურათ მართონ წარმოდგენები „პადგლებში“, რასაც გამგეობა ენერგიულათ ასრულებს.

ხარჯი წ.-კ. გ. საზ. უნდა გადაიხადოს საზოგადოების კასიდან.

### დროშა.

**ხაზური.** შესდგა „მანდილოსანი“-ს განყოფილების დამადასტებელთა კრება. მანდილოსნებმა აღთქმა დასცეს: ყველაფერში მიჩამონ თავის მთავარ საზოგადოებას გორისას. ინტრიგა უკვე დაიწყო და ჩხუბსაც დღე დღეზე მოველიო.

### ვარდენიშვილი.

#### ბუტყნის სააგენტო.

(სასულიერო უწყების განყოფილებიდან.).

**აბაშის რაიონი.** ს. ონტოფოს სულიერმა მამამ, ერმილემ, სამრევლო სკოლის ანექსია გამოაცხადა. გააძევა იქიდან ყოფილი მასწავლებელი და მის ადგილზე თავისი „გურაფილი“ შვილი დააყენა, ხოლო სამღვთო რჯულის მასწავლებლობა თავის განკარგულებაში დასტოვა. უკმაყოფილო მრევლი ჭამინისტრო სკოლის ითხოვდა, მარა „პრიგოვორი“, რომელზედაც მამა ერმილემ ხელი მოწერია სოფელს, აღმოჩნდა სამრევლო სკოლაზე. მეორე მასზავლებლის მომატების სოფლის ხარჯზე და ეს მასწავლებელი მამა ერმილემ ნათესავი, ერმილეს ოჯახში მცხოვრები და მისივე ოჯახის შამოსავლის წყარო. გაბაზებულმა მრევლმა ვექილი დაიტირა და მოძღვარს ყალბი „პრიგოვორის“ შედგენა უჩივლა. ერმილემ მოიმასქნა მრევლის „ატუკანტი“ და აცულინა სასჯელი, ხოლო მთავრობისაგან ნებადართული სამინისტრო სკოლა შწვანე მაულის ქვეშ მოათავსა. მოთმინებიდან გამოსულმა მრევლმა ყოველივე ეს ეფისკობოზიც „არწმუნა“ თავის „სათნოებას“ და მრევლის გაურჯულობებაში. იმედ დაკარგულმა მრევლმა მოწაფეები არ გაუშვეს ერმილეს შკოლაში, მარა მამა ერმილემ გამომძიებელი „არწმუნა“ „სოფელში სახალი მძინვარებს და მოწაფეები მედავითხვევო“, ხოლო გამცდაც წლის სასკოლო ხარჯები მათრახებით ასწაპნა მრევლს ზურგიდან. თავ-განწირულმა მრევლმა მასწავლებელ ბოკერიას სარდლობით ომი გამოუტხადა მამა ერმილეს, ხო-

ლო ერმილემ 24 საათში მობილიზაცია უყო თავის ჯარს ნათლიმებისა და ნათლიდედებისაგან შემდგარს და თავს დაესხა მასწავლებლის არმიას. ბრძოლა ნამდვილი „სედანის“ განმორჩება იყო და 101 დღე და ღამეს გასტანა. გამოირკვა, რომ ერმილეს დაზევერვის საქმე ჩინებულიათ მოეწყო და ყველა სიმაგრების მიგნება და აფეთქება შესძლო. ტყვე ინტორენები სულს დაფავენ მამა ერმილეს დიქტატურის ქვეშ, რომელმაც ყველა დაწესებულებაში თავის მოხელეები ჩააყენა, თავისი ღინას ტიის განსამტკიცებლათ. დამორჩილებულმა მრევლმა ამის გომი მამა ერმილეს „ეშმაკის მოციქული“ უწოდა მეტ სახელათ, ხოლო ჩენი მოხელის ბ-ნ „მხიფავის“ განკარგულებით,

ყოველივე მის წინააღმდეგ აღმული ბრალლდება დღეიდან წარედგინება რადიო აპარატ „გონვედის“ გამგე ბ-ნ „მხიფავს“ და არა მეტებულიათ საეპარქიო კანცელარიას, სადაც მამა ერმილეს შეველოდა თავისი ნათლიმებით. მომჩინებს შეუძლია მიიქცევ შემდეგი მისამართით: ჭაჭვები. სასულიერო უწყების გამგე ბ-ნი მხიფავი.



**გიორგი ლომთათიძეს.** თანახმად თქვენი წერილისა მივმართეთ „ოეატრი და ცხოვებების“ რედ. ბ-ნ ი. იმედაშვილს, ვადმოეცა ჩენენოვის თქვენი რვეული. ბ ნმა ი. იმედაშვილმა შემოგვითვალია: „ჯერ მე ამოვარჩევ შიგ დასაბეჭდ მისალას და შემდეგ გადმოგცემთო“. ამგვარად: ვინაიდან ჩენი სურვილი იყო თქვენი შრომა დაბეჭდილიყო და ბეჭდებს კისრულობის უურ. „ოეატრი და ცხოვებება“, რომ დანაშილება არ მოხდეს ნება გვიბორეთ ჩენენს სახელზე მოსული მასალა გადავსცეთ ზემოაღნიშნულ რედაქციას.

ველით პასუხს.





## ახილებული გდგომარეობა

რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ღამის ყარაულს თან ძალი დაჰყავს. ძალის დანიშნულებაა დარაჯი არ დააძინოს, ამიტომ ჯამაგირიც შეტი ეძლევა.

ამ წინაზე, ერთ ამგვარ ზედამხედველ ძალს დაეძინა. დარაჯმა გალვიძება ვერ გაუბედა და ვი- ლაცამ რკინის გზის ჩაითვალიან სამი ნაფორი მოიპარა.

დაიბადა საკითხი: ვის უნდა გამოექვითოს ჯამაგირში ნაფორის ფასი?